ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №100

2015 წლის 30 ივლისი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე გამარტივებული წესით შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის, მე–3 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №12 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების პროგრამისა“ და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 15 ივლისის №01/3184 მომართვის შესაბამისად.

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები“-ს (0-დან 57000-ს ქულამდე) გაზიფიცირების მომსახურების ღონისძიების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის წესით.
2. ანგარიში ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები“-ს (0-დან 57000-ს ქულამდე) გაზიფიცირების მომსახურების ღონისძიების შესყიდვის განხორციელებული პროცედურების შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, წარადგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულმა სამსახურმა შესყიდვის განხორციელების შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განხორციელებული შესყიდვის შესახებ.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.ლაზიშვილი).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**